

ტექნიკური დავალება

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი შენობის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურეობის შესახებ.

1. საფუძველი და მიზნები

1.1. ძირითადი ნაწილი

არსებული ტექნიკური დავალება განსაზღვრავს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი შენობის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობასთან დაკავშირებულ საკონსულტაციო მომსახურეობას.

„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახალი შენობა ითვალისწინებს 24,782 მ2 ფართობის შენობის მშენებლობას.

ქ. თბილისში ანნა პოლიტკოვსკაიას ქ. N31-ზე საზოგადოებრივი მაუწყებლის ახალი შენობის და დამხმარე შენობანაგებობების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს - 77 232 427 ლარს.

(პროექტის აღწერა, ნარატივი + ფართების ცხრილი / ამონარიდი საპროექტო განმარტებიდან)

პროექტი განხორციელდება დამკვეთის მიერ მომზადებული/მიწოდებული პროექტის შესაბამისად.

საკონსულტაციო მომსახურეობა ითვალისწინებს სამშენებლო სამუშაოებზე განხორციელებულ ყოველდღიურ ზედამხედველობას და პროექტის მართვას. მშენებლობაზე განხორციელებული ზედამხედველობის ძირითადი მიზანია, უზრუნველყოფილ იქნეს სამშენებლო სამუშაოების უმაღლესი ხარისხით შესრულება, სამშენებლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპეციფიკაციებისა და პროექტის მოთხოვნების სრული დაცვით, რაც თავის მხრივ იქნება ობიექტის ეფექტური ფუნქციონირების გარანტი გრძელვადიან პერიოდში.

შესასრულებელი სამუშაოს ვადა არის **30 (ოცდაათი) თვე** და ხარვეზების გამოსწორების ვადა კი **12 (თორმეტი) თვე**

1.2. მიზნები

დამკვეთის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, პროექტის მენეჯერი განახორციელებს სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობას. აღნიშნული პუნქტი გათვალისწინებული იქნება დამკვეთისა და კონტრაქტორის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს:

ა) საქართველოში მოქმედი სტანდარტების, რეგულაციებისა და კანონების, ასევე საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო ინჟინერული გამოცდილებების შესაბამისი მაღალი ხარისხის მშენებლობა;

ბ) სამშენებლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტი, ტექნიკური სპეციფიკაციები და სხვა მოთხოვნები;

გ) სამშენებლო სამუშაოების დასრულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროში, ბიუჯეტსა და ხარისხის კრიტერიუმების დაცვით;

დ) უსაფრთხოების პოლიტიკის, სოციალური და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

საზ. მაუწყებლის პროექტი ითვალისწინებს შემდეგი სახის სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოებს:

კონსტრუქცია
რკინის საყრდენი კონსტრუქციები
გარე ფასადის სამუშაოები
მიწისა და საძირკველის სამუშაოები
მონოლითური ბეტონის სტრუქტურა
იატაკები
შიდა კედლების მოწყობა
რკინის საყრდენი ქვე-სტრუქტურები
ჭერების მოწყობა
ვიტრაჟები
ტერიტორიის გამწვანება/კეთილმოწყობა
ბილიკების მოწყობა
ბეტონის ბილიკები
ნიაღვარმიმღები ჭები და ფილებით მოპირკეთებული ტრორუარები
დეკორატიული ბეტონი მონოლითური ბეტონის საფუძველით
გამწვანება
პარკინგი
შლაგბაუმები და ბარიერები
საინჟინრო სამუშაოები
ელექტოენერგიით მომარაგება
სატრანსფორმატორო ქვესადგური
სარეზერვო კვების ბლოკი
ქსელის კაბელირება
ელექტრო ჩამრთველების ქსელის მოწყობა
დამონტაჟებული მოწყობილობების ელექტრო ენერგიით მომარაგება
განათება
გარე განათება
შიდა განათება
არქიტექტურული განათება
საევაკუაციო განათება
განათების კონტროლის ავტომატიზირებული სისტემა
IT-ინფრასტრუქტურა
საკაბელო ქსელის მოწყობა
მონაცემთა დამუშავების ცენტრი
სატელეფონო სისტემა
სატელევიზიო სისტემა
მედია ხელშეწყობის სისტემა
აუდიო სისტემა

დაცვისა და უსაფრთხოების სისტემა
ვიდეო კონტროლის სისტემა
შესვლის კონტროლი
შლაგბაუმები
რადიომაუწყებლობის სისტემა
სახანძრო უსაფრთხოების სისტემა
საკაბელო არსებისა და ქსელის მონტაჟი
ელვისგან დამცავი სისტემა
მექანიკა / კომუნიკაცია
სავენტილაციო სისტემა
გათბობისა და კონდიციონერების უზრუნველყოფა
ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა
სასმელი წყალი
საკანალიზაციო სისტემა
სანიაღვრე წყლის სისტემა
გარე წყლით მომარაგება
გარე საკანალიზაციო სისტემა
გარე სანიაღვრე სისტემა
ლიფტები / ვერტიკალური ტრანსპორტი

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებული ტექნიკური სახის ინფორმაცია იხილეთ ტექნიკურ დავალებასთან თანდართულ საპროექტო დოკუმენტაციაში.

2. საკონსულტაციო მომსახურების არსი

2.1. ორგანიზაცია

1. სამუშაოების ადმინისტრირების, შესრულებისა და ზედამხედველობის პროცესი წარიმართება სახელშეკრულებო ურთიერთობის მიხედვით, რაც ითვალისწინებს სამ ძირითად როლს: დამკვეთი, კონტრაქტორი და პროექტის მენეჯერი. საზ. მაუწყებელი წარმოადგენს დამკვეთს. პროექტის მენეჯერი არის დამსაქმებლის იურიდიული წარმომადგენელი და დამსაქმებლის მიერვე მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში აკონტროლებს კონტრაქტორის მიერ განხორციელებულ სამუშაოებს. კონსულტანტი ვალდებულია შეამოწმოს რამდენად სწორად სრულდება სამშენებლო სამუშაოები სამშენებლო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან მიმართებაში. შესაბამისად, პროექტის მენეჯერი მიიღებს და პასუხისმგებელი იქნება ყველა საინჟინრო გადაწყვეტილებაზე, რომელიც აუცილებელი იქნება სამუშაოების წარმატებული და დროული შესრულებისათვის.
2. კონსულტანტი პასუხისმგებელია აწარმოოს სამშენებლო სამუშაოების ყოველდღიური ზედამხედველობა და დაამყაროს კომუნიკაცია ყველა კონტრაქტორთან, კონსულტაცია გაუწიოს დამკვეთს ნებისმიერი ღია / პრობლემური საკითხების გადაწყვეტის თაობაზე.
3. კონსულტანტი ვალდებულია აკონტროლოს თუ რამდენად ზედმიწევნით ასრულებს კონტრაქტორი პროექტის, ტექნიკური სპეციფიკაციების, და სხვა მასზე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებს.
4. ქვემოთ გაწერილი მოთხოვნებისა და ფაზების შესაბამისად, კონსულტანტი პასუხისმგებელია მოახდინოს სამუშაო ჯგუფის შეკრება/მოხილიზება. იგი ვალდებულია მოიძიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი (ინჟინერები, ზედამხედველები, ხარისხის ინსპექტორები, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტები და სხვა), რათა მოახდინოს სამუშაოების ზედამხედველობა, ინსპექტირება, მოწყობილობების ინსტალირება და სამშენებლო მასალების ტესტირება.

კონსულტანტმა უნდა მოახდინოს შესრულებული სამუშაოს მონიტორინგი, მიწოდებული საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპეციფიკაციებთან და მოთხოვნებთან მიმართებაში, სამუშაოთა წარმოების ზედამხედველობა, ხარვეზების გამოვლენა, აღრიცხვა და მათი დროული აღმოფხვრის უზრუნველყოფა.

5. კონსულტანტმა უნდა წარადგინოს მშენებლობის ზედამხედველობის უზრუნველყოფისათვის გაწერილი სამუშაო გეგმა, სადაც საამშენებლო ფაზების (სტადიების) გათვალისწინებით მოცემული იქნება კონსულტანტის თანამშრომლების სრული სია, მითითებული იქნება თითოეული პირის ვალდებულებები.
6. იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელი გახდება საამშენებლო ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, კონსულტანტმა უნდა მოამზადოს ხელშეკრულების სახეცვლილი ვარიანტი, აღნიშნული ჩასწორების ღირებულება შეათანხმოს კონტრაქტორთან და ხელშეკრულების პროექტი წარუდგინოს დამკვეთს დასამტკიცებლად.

2.2. ძირითადი ამოცანები

კონსულტანტი ვალდებულია უხელმძღვანელოს და ზედამხედველობა გაუწიოს სამუშაოებს, საერთაშორისოდ მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, მანამ სანამ არ მოხდება გაწეული სამუშაოებისათვის განკუთვნილი ღირებულების საბოლოო ანგარიშსწორება, მათ შორის იგულისხმება ხარვეზების გამოვლენის პერიოდი.

მომსახურება გულისხმობს შემდეგ ძირითად ფაზებს:

1. პროექტის შესწავლა/განხილვა;
2. მშენებლობის ფაზა;
3. ტესტირება, ექსპლუატაციაში გაშვება და მუშაობის რეჟიმის შემოწმება.
4. ხარვეზების გამოვლენის პერიოდი.

კონსულტანტი, დამკვეთის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ასრულებს საამშენებლო სამუშაოების სრულ ზედამხედველობას. ამ მიზნით, კონსულტანტმა უნდა მოახდინოს ზედამხედველობისა და ხელშეკრულების მართვა/მონიტორინგის სისტემის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ეფექტურ მშენებლობის პროცესის ზედამხედველობას, უზრუნველყოფილი იქნება: ხარისხის მართვა, პროგრესის მონიტორინგი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ზომების დაცვა, დანახარჯების კონტროლი (შუალედური და საბოლოო გადახდის სერტიფიკატების გაცემა), კონტრაქტორის მოთხოვნების / საჩივრების შეფასება და მათზე რეკომენდაციების მომზადება, აუცილებლობის შემთხვევაში ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა, შესაბამისი დოკუმენტალური უზრუნველყოფა, რეგულარული ანგარიშების მომზადება და საამშენებლო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნების შესრულება.

კონსულტანტი ვალდებულია შეამოწმოს მიმდინარე სამუშაოების თანხვედრა სატენდერო დოკუმენტაციებში გაწერილ ხარისხისა და სპეციფიკაციების მოთხოვნებთან, ასევე გარემოსა და სოციალური დაცვის დოკუმენტაციასთან მიმართებაში. საჭიროების შემთხვევაში, კონსულტანტი დახმარებას გაუწევს დამკვეთს ხელშეკრულების ადმინისტრირების საკითხებში, განიხილავს და დაადასტურებს კონტრაქტორის მიერ მომზადებულ ნახაზებს.

2.3. კონსულტანტის ვალდებულებები

კონსულტანტის ვალდებულებები მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგი ჩამონათვალით:

1. მშენებლობის მართვა და ტექნიკური ზედამხედველობა:

- პროექტის ყველა მონაწილეს შორის კომუნიკაციის/ურთიერთკავშირის ეფექტური ფორმის შემუშავება და დანერგვა;
- მშენებლობის მუდმივი კონტროლი, შესწავლა და ანალიზი; დამკვეთისა თუ სხვა შესაბამისი მხარეების ინფორმირება საჭირო ცვლილებების თაობაზე, პროექტის ამოცანების უკეთ შესასრულებლად;
- სამშენებლო მოედნის რეგულარული ინსპექტირება წარმოებული სამუშაოების სამშენებლო დოკუმენტაციასთან თანხვედრის უზრუნველსაყოფად;

1.1. დროის/გეგმა-გრაფიკის მართვა:

- ერთიანი გენერალური გეგმა-გრაფიკის მომზადება კონტრაქტორების მიერ მოწოდებული პროექტის გრაფიკების ოპტიმიზაციის და ინტეგრაციის საფუძველზე. ძირითადი აქტივობების, დავალებათა ურთიერთდამოკიდებულებების, საკვანძო თარიღების (ეტაპების) მითითებით;
- გენერალური გეგმა-გრაფიკის ანალიზი განხორციელებადობისა და ლოგიკურობის თვალსაზრისით, შეუსაბამობებისა და რესურსების ნაკლებობის გამოვლენა და ოპტიმიზაციის მოთხოვნა;
- გენერალური გეგმა-გრაფიკის შესრულების ყოველდღიური მონიტორინგი და დამკვეთის ინფორმირება;
- კონტრაქტორებისთვის სამუშაოების შესრულების ყოველკვირეული გრაფიკის შედგენა გენერალური გეგმა-გრაფიკის საფუძველზე. ყოველკვირეული გრაფიკის შესრულების მონიტორინგი, სამუშაოების ფაქტიური შედეგების შეგროვება და გენერალური გეგმა-გრაფიკის შესაბამისად განახლება;
- დამკვეთის ინფორმირება ჩამორჩენებზე / შეუსაბამობებსა და მათი აღმოფხვრის მეთოდებზე. დამკვეთის კონსულტირება აუცილებელ ცვლილებებზე და მათ განსახორციელებლად უფლებამოსილების მოპოვება;
- პროექტის ძირითადი რისკების შეფასება და დამკვეთისთვის რეკომენდაციების/გადაწყვეტების შემუშავება რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

1.2. ბიუჯეტი / ფინანსური კონტროლი:

- კონტრაქტორის მიერ მოწოდებული ხარჯთაღრიცხვების განხილვა, შემოწმება და საჭიროებისამებრ ოპტიმიზაცია. მოწოდებული ბიუჯეტების საფუძველზე ერთიანი გენერალური ბიუჯეტის მომზადება; გენერალური ბიუჯეტის ანალიზი, დამკვეთის ინფორმირება ნებისმიერი გადაცდომების, უზუსტობის ან/და შეუსაბამობის შესახებ და მათი ოპტიმიზაცია;
- დამკვეთის წინაშე ანგარიშგება ბიუჯეტის შესრულების თაობაზე. დამკვეთის კონსულტირება აუცილებელ ცვლილებებზე და მათ განსახორციელებლად უფლებამოსილების მოპოვება;
- გენერალური ბიუჯეტის საფუძველზე შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების კონტროლის ყოველკვირეული ანგარიშების მომზადება (Earned Value Management) და ხარჯების მონიტორინგი; გენერალური ბიუჯეტის ყოველთვიურად განახლება, დამკვეთის კონსულტირება ნებისმიერ უთანხმოებასა და მათი გამოსწორების მეთოდებზე;
- ვარიაციების პროცესის კონტროლი. თანმხლები დოკუმენტაციის საფუძველზე დამკვეთის სრული უკუკავშირით უზრუნველყოფა ნებისმიერი გაუთვალისწინებელი ხარჯისა ან/და ვადის გაგრძელების შესახებ შესაბამის პროგნოზთან ერთად;
- შუალედური შესრულების ინვოისებისა და ყველა საჭირო თანმხლები დოკუმენტების მომზადების კოორდინირება; პროექტთან დაკავირებული კონტრაქტორებისა და მომწოდებლების გადახდის სერტიფიკატების გაცემა და ყველა ინვოისის შემოწმება;
- კონტრაქტორებისა და მომწოდებლების საბოლოო და შუალედური გადახდების შემოწმება და დადასტურება;
- დოკუმენტების კონტროლი არსებული საგადასახადო კანონმდებლობის ნორმების თანახმად (ფორმა #2 და ა.შ);

- დამკვეთის თანამშრომლებთან და ხელმძღვანელობასთან აქტიური თანამშრომლობა ფინანსური ანგარიშგების ნებისმიერი სხვა დოკუმენტის დაგეგმვის, მომზადებისა და დადასტურების პროცესში;

1.3. მშენებლობის ზედამხედველობა და პროექტის მართვა:

- მშენებლობის ინსპექტირების გუნდის ფორმირება, რომელიც მოიცავს ყველა საჭირო დისციპლინას, მათ შორის: მშენებლებს, სან-ელექტრო-მექანიკოსებსა და მოპირკეთების სპეციალისტებს.
- პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობის სრული ზედამხედველობა;
- დამკვეთის ინფორმირება ნებისმიერი გარემოების შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს სამუშაოების მიმდინარეობასა და ხარისხზე;
- აუცილებელი გამოსასწორებელი ქმედებების რეკომენდება, რომ შესაძლებელი გახდეს სამუშაოების დროულად დასრულება;
- პროექტის შესრულების გეგმა გრაფიკის კოორდინირება ყველა კონტრაქტორთან;
- კონტრაქტორებს შორის საჭირო შეხვედრების ორგანიზება და ხელმძღვანელობა კოორდინირებული გრაფიკის შესრულებისა და კონტრაქტორების მიერ თავიანთი მიმართულებით სწორად მუშაობის უზრუნველსაყოფად;
- ხარისხის უზრუნველყოფისა და ხარისხის კონტროლის პროცედურებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება და კონტროლი;
- რეგულარული ინსტექტირების ჩატარება მასალის ან ხელობის დეფექტის გამოსავლენად, რომელსაც ესაჭიროება შეკეთება, გადაკეთება, ჩამოწერა, დემონტაჟი, ხელახლა აშენება და ა.შ. ყველა დეფექტის ან მოსალოდნელი დეფექტის ფორმალურად დოკუმენტირება და კონტრაქტორისთვის გამოსასწორებლად გადაცემა, დამკვეთის ინფორმირება აროცენილ შეუსაბამობასა და მისი გამოსწორების მეთოდოლოგიის შესახებ.
- ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კოორდინირება;
- პროექტის ფარგლებში მიმდინარე სამუშაოების ყოველდღიური და ყოველთვიური ანგარიშების მომზადება დამკვეთისთვის. ყოველთვიური ანგარიშები მოიცავს საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელებულ ყველა აქტივობას, რომელსაც გავლენა აქვს სამუშაოთა ფიზიკურ თუ ფინანსურ მიმდინარეობაზე;
- გამოყენებადი სამართლებრივი ნორმით განსაზღვრული მოთხოვნებისა და სტანდარტების მიხედვით და დამკვეთის მიერ დადასტურებული ინსტრუქციებით შესრულების პროცესისა და შესრულების დაგეგმარების განხორციელება, მშენებლობის პროცესში ჩართული კონტრაქტორებისგან სამუშაოს მეთოდოლოგიის, რისკების რეესტრისა და ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის განაცხადების მიღება და დადასტურება;
- პროექტის შესრულებაში ჩართულ შესაბამის მხარეებთან წინასწარ დაგეგმილი ყოველკვირეული საკოორდინაციო შეხვედრებისა და სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ ნებისმიერი აუცილებელი შეხვედრის ჩატარება. ყველა შეხვედრის აუდიო ჩანაწერის წარმოება, შესაბამისი სტენოგრაფიული ოქმის შედგენა და ჩართულ მხარეებთან დაგზავნა;
- პროექტანტებსა და კონტრაქტორებს შორის პროექტირების შემოწმების, განმარტების, ოპტიმიზაციისა და დადასტურების პროცესის კოორდინირება;
- კონტრაქტორების მიერ მუშა ნახაზების მომზადების კოორდინირება და კონტროლი, საპროექტო ცვლილებების განხილვა/დადასტურება;
- კონტრაქტორების მიერ მომზადებული მუშა ნახაზების ხარისხის კონტროლის დანერგვა;
- დამკვეთის დახმარება ამ მომსახურების ფარგლებში ნებისმიერ მესამე მხარესთან მოლაპარაკების წარმოების, ხელშეკრულების დადების, მისი შესრულების კონტროლის პროცესში;

1.4. პროექტის დახურვა, შემოწმება, ექსპლუატაციაში გაშვება:

- დასრულებული სამუშაოების დეფექტების გამოსწორების პროცესის მართვა, დეფექტების სიის მომზადება და მათი გამოსწორების გეგმა გრაფიკის შემუშავება.

- დეველპმენტების გამოსწორების შეთანხმებულ ვადაში უზრუნველყოფა;
- პროექტის ყველა დასრულებული სამუშაოს საბოლოო ინსპექტირება და კონტრაქტორის მიერ დეველპმენტების გამოსწორების უზრუნველყოფა;
- პროექტის დახურვისა და გადაცემის პროცესის მართვა, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების შედგენა, საკონტროლო სიების, შესაბამისი ფორმების და სახელშეკრულებო დოკუმენტების თანახმად;
- შემოწმება და ექსპლუატაციაში გაშვება მოიცავს ყველა მექანიკურ, ელექტრო და სანიტარულ-ტექნიკურ სისტემას, BMS / IBMS სისტემებს;
- დასრულების ინსპექტირების ჩატარება დამკვეთთან ერთად;
- სამშენებლო პროექტის დახურვის ანგარიშის მომზადება, რომელიც მოიცავს: საინჟინრო დოკუმენტაციას, როგორცაა: პროცესის ტექნოლოგიური დიაგრამები, მილ-გაყვანილობის სქემები, ნაკვეთის გეგმები, მილ-გაყვანილობის გეგმები, ელექტრო გეგმები, არქიტექტურული გეგმები, კონსტრუქციული გეგმები, მწარმოებლის მიღება-ჩაბარების გამოცდის შედეგები / ობიექტის მიღების გამოცდის შედეგები, მასალების ჩამონათვალი, ინჟინრის ინსტრუქციები, სამუშაოთა მიმდინარეობის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა, შესაბამისი ტექნიკის სერტიფიკატები, საგარანტიო საბუთები და სხვა;
- ყველა კონტრაქტორთან შესაბამისი „ფინალური ანგარიშების“ და მიღება-ჩაბარების აქტის მომზადება.

3. შესასრულებელი სამუშაოს ვადები

შესასრულებელი სამუშაოს ვადა არის **30 (ოცდაათი) თვე** და ხარვეზების გამოსწორების ვადა კი **12 (თორმეტი) თვე**

4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;

4.2. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, შესრულებულ სამუშაოებზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის, ფორმა №2-ის და შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, შესრულებული სამუშაოების ღირებულების და ფასების ცხრილში დაფიქსირებული მომსახურების პროცენტის პროპორციულად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში;

4.4. თუ შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ არ შეადგინა ხელშეკრულების საერთო ღირებულება, მაშინ შემსყიდველი მიმწოდებელს გადაუხდის ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს შესაბამის და მომსახურების ფასების ცხრილში დაფიქსირებული პროცენტის შესაბამის თანხას. შესაბამისად, მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ თანხაზე.

სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: **100 % - სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (2020-2021-2022 და 2023 წლის სახსრები).**

შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა - 2 988 868 ლარი.

ტერმინთა განმარტება:

კონსულტანტი - პრეტენდენტი/მიმწოდებელი